



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030464710541916

04-646/ო

28 / დეკემბერი / 2016 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობებით“ გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 16 მარტის N04-113/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 16 მარტის № 04-113/ო ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N1 (მაძიებლის ანკეტა) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.
2. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ.გოგოლაძე) წინამდებარე ბრძანების გაცნობა სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის.
3. დაევალოს დირექტორის აპარატს (დეპარტამენტი) წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული ფორმის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე

მაძიებლის ანკეტა

1	კონტაქტის დამყარების თარიღი				შენიშვნა:						
2	კონტაქტის დამყარების ადგილი	ქალაქი	რაიონი	ქუჩა	შენიშვნა:						
3	აქვს თუ არა სარეგისტრაციო დოკუმენტაცია	<p>1. დიახ (მონიშნეთ)</p> <p>(ა) საქართველოს მოქალაქის დაბადების მოწმობა</p> <p>ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა</p> <p>გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (გთხოვთ, დააზუსტოთ რომელის)</p> <p>დ) დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა</p> <p>2. არა (გადადით მე-6 პუნქტზე)</p> <p>3. სხვა</p>			შენიშვნა:						
4	პირადი ნომერი										შენიშვნა:
5	ბავშვის სახელი და გვარი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მიხედვით				შენიშვნა:						

დროებით საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის გაცემის საჭიროება

6	პირობითი სახელი და გვარი		შენიშვნა:
7	მეტსახელი		შენიშვნა:
8	სქესი		
9	ასაკი		შენიშვნა:
10	მიახლოებითი ასაკი		შენიშვნა:
11	დაბადების თარიღი	გთხოვთ, მიუთითოთ წყარო	შენიშვნა:
12	ეროვნება		შენიშვნა:
13	არსებობს ქუჩაში მოხვედრის რისკი		შენიშვნა:
14	ადგილი/ადგილები, სადაც დღის უმეტეს ნაწილს ატარებს		შენიშვნა: (მიუთითეთ წყარო)
15	ადგილი/ადგილები სადაც ათევს ღამეს		შენიშვნა: (მიუთითეთ წყარო)
16	ქუჩაში მოხვედრის მიზეზები		შენიშვნა: (მიუთითეთ წყარო)
17	ქუჩაში ყოფნის სიხშირე	<ol style="list-style-type: none"> 1. ყოველდღიურად დღის და ღამის განმავლობაში 2. ყოველდღიურად მხოლოდ დღე 3. ყოველდღიურად მხოლოდ ღამე 4. ყოველდღიურად დღის გარკვეული მონაკვეთი 5. კვირაში რამდენჯერმე 6. სხვა (გთხოვთ, დააზუსტოთ) 	შენიშვნა:
18	საქმიანობის ტიპი ქუჩაში:		შენიშვნა:
19	გარეგნული ნიშნები	(სიმაღლე, წონა, თვალის ფერი, დამახასიათებელი ნიშნები: მარჯ, ნაიარევი,	შენიშვნა:

		სვირინგი და სხვა)	
ჯანმრთელობის მდგომარეობა			
20	პირველი შთაბეჭდილება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ზოგადი მდგომარეობა, კანის მდგომარეობა, სხვა)		შენიშვნა:
21	აღენიშნება თუ არა ძალადობის ნიშნები	1. დიახ 2. არა გთხოვთ დააზუსტოთ	შენიშვნა:
22	ქრონიკული ან მწვავე დაავადებები		შენიშვნა:
23	მოიხმარს თუ არა მავნე ნივთიერებებს	1. არ მოიხმარს 2. ალკოჰოლი 3. სედატიური საშუალებები 4. წებო 5. თამბაქო 6. სხვა გთხოვთ, დააზუსტოთ	შენიშვნა:
24	ხომ არ არსებობს ჯანმრთელობის გადაუდებელი მდგომარეობა, რომელიც დაუყოვნებელ რეაგირებას მოითხოვს	1. დიახ 2. არა (დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ აღწეროთ მდგომარეობა და ჩამოაყალიბოთ რეაგირების სტრატეგია)	შენიშვნა:
განათლება			
25	საგანმანათლებლო დაწესებულებაში	1. დიახ (გთხოვთ დააზუსტოთ)	შენიშვნა:

	სიარულის გამოცდილება	2. არა	
26	წერა-კითხვა	<ol style="list-style-type: none"> 1. არ იცის 2. იცის კითხვა, მაგრამ ვერ წერს 3. იცის წერა-კითხვა ქართულ ენაზე 4. იცის წერა-კითხვა რუსულ ენაზე 5. იცის წერა-კითხვა სხვა ენაზე 6. სხვა 	შენიშვნა:
ინსტიტუციური გამოცდილება			
27	ჰქონია თუ არა რომელიმე სააღმზრდელო დაწესებულებაში ცხოვრების გამოცდილება?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ (გთხოვთ დააკონკრეტოთ) 2. არა 	შენიშვნა:
28	არის თუ არა კანონთან კონფლიქტი?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ 2. არა 	შენიშვნა:

29. დამატებითი ინფორმაცია